უნარები: ლექსიკური მარაგი, წერა

- დახატე რვეულში მზე.
  მზის გულში ჩაწერე სიტყვა „მდინარე“.
- სხივებზე დააწერე ის ზედსართავი სახელები, რომლებითაც შეიძლება დავახასიათოთ მდინარე.



გადაიხაზე ცხრილი და არსებით სახელებს მიუწერე ზედსართავი სახელები.

არსებითი სახელი	ზედსართავი სახელი
იასამანი	
საათი	
ზღვა	
მამა	
საუბარი	
დილა	
ქუჩა	

გადაიხაზე ცხრილი და შეავსე ნიმუშის მიხედვით.

რიგითობითი რიცხვის სახელი	არაბული ციფრი	რომაული ციფრი
მეორე	მე-	II
მეხუთე		
მეთხუთმეტე		
ოცდამეოთხე		
ოცდამეთხუთმეტე		
მეცხრე		
ოცდამესამე		

უნარები: ლექსიკური მარაგი, წერა

დააწყვილე სკივრსა და კალათაში მოთავსებული მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები – სინონიმები. სიტყვათა წყვილები გადაწერე რვეულში.

დააწყვილე სკივრსა და კალათაში მოთავსებული საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები – ანტონიმები. გადაწერე რვეულში.

უნარები: ლექსიკური მარაგი, წერა

დააწყვილე სკივრსა და კალათაში მოთავსებული მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები – სინონიმები. გადაწერე რვეულში.

უნარები: ლექსიკური მარაგი, წერა

თითოეული არსებითი სახელისთვის მოიფიქრე ხუთი შესაბამისი ზედსართავი სახელი და დაწერე რვეულში.

სახლი

ტყე

წიგნი

მეგობარი

წყალი

ზედსართავ სახელებს მოუძებნე ანტონიმები მარჯვენა სვეტში. მათი გამოყენებით შეადგინე და დაწერე წინადადებები.

ქება	ხალისიანი
სახელგანთქმული	მეჩხერი
ჭირი	შერცხვენილი
დარდიანი	ძაგება
მადლიერი	ნებადართული
ხშირი	ლხინი
აკრძალული	უმადური

გადახაზე კროსვორდი რვეულში. შეავსე ზედსართავი სახელების გამოყენებით ისე, რომ ყვითელ ზოლში მიიღო სიტყვა „კეკლუცი“.



1. მწიფეს ანტონიმი,
2. მსუბუქის ანტონიმი,
3. მშვენიერის სინონიმი,
4. მაგარის ანტონიმი,
5. ცელქის სინონიმი,
6. პაწიას სინონიმი,
7. იაფის ანტონიმი.

დააკავშირე ერთმანეთთან მსგავსი მნიშვნელობის მქონე გამოთქმები და ისე გადაიწერე რვეულში.

ნიმუში: **თავის მოსაწყლება – თავის მოკატუნება**

• გამდიდრდა	თვალში მოუვიდა
• დამუნჯდა	ქერის ორმოში ჩავარდა
• მოეწონა	ცივი წყალი გადაასხა
• იმედი გაუცრუა	ენა მუცელში ჩაუვარდა

გადახაზე ცხრილი. ამოიწერე ტექსტიდან ხუთი არსებითი სახელი და გაარჩიე ნიმუშის მიხედვით:

არსებითი სახელი	სულიერი	უსულო	კითხვა ვინ?	კითხვა რა?	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
ექიმი	+		+		+	

შეადგინე წინადადებები, რომლებშიც ქვემოთ მოცემული არსებითი სახელები მიცემით ბრუნვაში იქნება:

მშვიდობა ირემი კატა შოკოლადი

კალამი

სამი მამა

დედა სკამი

შეადგინე წინადადებები, რომლებშიც ქვემოთ მოცემული არსებითი სახელები ნათესაობით ბრუნვაში იქნება და დაწერე რვეულში:

კოდალა

წყალი

ნიბლია

რკო

ზღვა

გალია

იასამანი

ფოთოლი

შეადგინე ორ-ორი წინადადება ფუძეუკვეცელი სახელების გამოყენებით ისე, რომ ეს სახელი ჯერ მიცემითში იდგეს, შემდეგ – ნათესაობითში. წინადადებები ჩაწერე რვეულში.

ეზო

ბუ

წერო

ჭიანჭველა

ხბო

რკო

წაიკითხე ტექსტი. დასვი გამოტოვებული სასვენი ნიშნები და ისე გადაწერე რვეულში.

ორი დღეღა და სექტემბერიც დადგება რომ თენდება უკვე ცივა ცივი ნამია გაგებული ბალახებზე მერცხლები გუნდ-გუნდად იკრიბებიან დიდი ჟიკჟიკი აქვთ დიდი ჟრიამული უთუოდ იმაზე მსჯელობენ როდის გაფრინდნენ სამხრეთისკენ ვინ წაუძღვეს წინ ვინ გამოჰყვეს გუნდს

ყურძენი შეთვალულია შინდი თითქმის მწიფს მართალია შუადღისით ცხელა მაგრამ დაიწევს თუ არა მზე აგრილდება საღამოობითაც ცივა თბილი უნდა ჩაიცვა

მოიფიქრე, რა საერთო სიტყვა შეიძლება ჩაიწეროს წრეში.

პასუხს
სახლს
ფარდაგს
თამაშს
მახეს





წვეულებას
მანქანას
ფერხულს
ლურსმანს

მოიფიქრე, რა საერთო სიტყვა შეიძლება ჩაიწეროს წრეში.

თოკი

სიტყვა

მოთმინების ძაფი →



შუბლის ძარღვი

ქანცი

შენი აზრით, როგორ გაჩნდა გამოთქმა „ახალი ცოცხი კარგად გვის“? მოიფიქრე და გადმოეცი წერილობით.



წარმოიდგინე, რომ შენი ფეხსაცმელი ალაპარაკდა. გადმოეცი მისი მონათხრობი 40-50 სიტყვით. ჩაწერე რვეულში.

„ქუჩის კუთხეში მოხუცი ქოთნის ყვავილს ყიდდა. იქვე ფისო მობუზულიყო“...

გააგრძელე თხრობა და შექმენი 30 ან 40-სიტყვიანი ამბავი. ჩაწერე რვეულში.

მისწერე წერილი შენი საყვარელი წიგნის რომელიმე პერსონაჟს. ესაუბრე მისი ქმედებების, ფიქრებისა და გრძნობების შესახებ.

მისწერე წერილი რომელიმე თანამედროვე მწერალს. სცადე აუხსნა, თუ რა გიზიდავს მის ნაწარმოებებში ყველაზე მეტად. დაასახელე კონკრეტული გმირები, ეპიზოდები, პრობლემები და ა. შ.

წერილი დაიწყე ასე: ძვირფასო ავტორო...

ინტერვიუ პერსონაჟთან

შენი საყვარელი წიგნიდან ან მულტფილმიდან შეარჩიე ერთ-ერთი პერსონაჟი. მოამზადე მასთან ინტერვიუ. ჩამოაყალიბე შეკითხვები და დაწერე პერსონაჟის პასუხები, რომლებიც, შენი აზრით, შეესაბამება მის მოქმედებას.



გაუკეთე რეკლამა შენს საყვარელ ნაყინს. ამისათვის შეადგინე სარეკლამო ტექსტი. დახატე შესაფერისი ნახატი.

წარმოიდგინე, რომ შენი ჩანთა ალაპარაკდა, გადმოეცი ამბავი 30-40 სიტყვით. ჩაწერე რვეულში.

სწრაფად და უშეცდომოდ გამოთქვი ენის გასატეხები. სცადე და შენც დაწერე ერთი ენის გასატეხი.

„ჭინჭარში ჭრიჭინობელა ჭიანურივით ჭრიჭინებს“.

„თეთრი თრითინა თეთრ თრთვილზე თრთოდა“.

„ჭინჭარი ჭირის ჭირია“.

„ბაყაყი მყაყე ჭაობში ბაყბაყდევივით ბაყბაყებს“.

„ერთი ხეა ხერხოვანი, რა ხნისაა? შენ ხნოვანი“.

„აბლაბუდა, მაბლაბუდა, შიგ ობობა გაბლანდულა“.

„ჩიტი, ჩიტი, ჩიკოტელა, ჩიტი მყავდა ჩელტის ხელა“.

„მჭადი ჭრელ გოჭს აჭამა, უმჭადოდ ჭამს შეჭამანდს“.

გააგრძელე და დაასრულე ზღაპარი.
დაწერე რვეულში.

ერთ დღეს ბიჭის მამა ტყეში წავიდა შეშის საჭრელად, მაგრამ შინ მოსვლა დააგვიანდა. დედა ძლიერ შეწუხდა. ბიჭმა გადაწყვიტა მამის მოსაძებნად წასვლა. მეორე დილით...

დაწერე ესე – „კარგი საქმე, რომელიც დამამახსოვრდა“.

გაიხსენე ყველაფერი კარგი, რაც გააკეთე ამ ბოლო ხანებში. მაგალითად: დაეხმარე ოჯახის რომელიმე წევრს, წაიკითხე წიგნი... ამოირჩიე რომელიმე ეპიზოდი, დაწერე და დახატე.

გადმოეცი ტექსტის შინაარსი 3-4 წინადადებით და დაასათაურე.

გზაზე მიდიოდნენ კოჭლი და ბრმა. მიადგნენ ერთ მდინარეს. გასვლა ვერ მოახერხეს და დაღონებულნი წყლის ნაპირას დასხდნენ. წაადგა თავზე მესამე მგზავრი, რას დაძმარებულხართო? – ჰკითხა. უთხრეს: როგორ არ დავღონდეთ, ერთს უფეხობა უშლის ხელს გადასვლაში, მეორეს – უთვალობაო.

მგზავრმა უთხრა: ერთმა მეორისგან ფეხები ითხოვოს, სამაგიეროდ, მეორემ თვალები ათხოვოს და ორივე იქით ნაპირს გახვალთო. მართლაც, ბრმამ კოჭლი ზურგზე შეისვა, კოჭლმა გზა უჩვენა და მშვიდობით გავიდნენ იქითა ნაპირს.

წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს წერილობით.

ხის ფოთლებიდან წყლის აორთქლება და მისი ჩრდილი შენობების გაგრილების ხარჯებს მთელ მსოფლიოში 3,45 მილიარდი ლარით ამცირებს.

ერთი ხე საშუალოდ ყოველწლიურად 113 კგ ჟანგბადს გამოყოფს. ეს ნიშნავს, რომ ორ მოზრდილ ხეს შეუძლია, გამოყოს ოთხსულიანი ოჯახისათვის ერთი წლის განმავლობაში სამყოფი ჟანგბადი.

მხოლოდ ერთი ხე იმდენ ნახშირორჟანგს მოიხმარს, რამდენსაც ერთი ავტომობილი გამოყოფს 42000 კილომეტრის გავლისას.

კითხვები:

1. რისი საშუალებით აგრილებს ხე შენობებს?
2. რამდენ კგ ჟანგბადს გამოყოფს ხე ყოველწლიურად?
3. რა სარგებლობა მოაქვს ხეს ადამიანის ჯანმრთელობისთვის?
4. რატომაა აუცილებელი ხეების დარგვა და მისი მოვლა დიდ ქალაქებში?
5. რომელია შენი საყვარელი ხე? რატომ?
6. იპოვე ტექსტში ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში დასმული სახელები.

გაიხსენე რომელიმე ცნობილი ადამიანი. წარმოიდგინე თავი მის ადგილას და დაწერე ავტობიოგრაფია.



ჩამოწერე წინადადებათა ნომრები ისეთი თანმიმდევრობით, რომ გამოვიდეს ამბავი.

1. შემდეგ უყავისფრდებათ და მხოლოდ ერთი წლის თავზე უთეთრდებათ.
2. გედის გაშლილი ფრთების სიგრძე 2 მეტრს აღწევს.
3. გედები ხშირად ზურგით დაატარებენ თავიანთ შვილებს, სიცივისა და საფრთხისაგან რომ დაიცვან.
4. წონით კი თითქმის 15 კილოგრამს იწონის.
5. პატარა გედები ძირითადად მაის-ივნისში იჩეკებიან.
6. ისინი თავიდან მონაცრისფრო ბუმბულით არიან დაფარული.

წაიკითხე ხატოვანი გამოთქმა, შეარჩიე სწორი განმარტება და გადაწერე რვეულში.
შეადგინე წინადადებები ამ ხატოვანი გამოთქმების გამოყენებით.

კბილებში ოფლი ადინა.

ა) გააბრაზა. ბ) გაამხიარულა. გ) ცუდი დღე დააყენა.

ნაცარქექია ქვასაც კი წვენს გამოადენს.

ა) შურიანია. ბ) ღონიერია. გ) მოხერხებულია.

მოიფიქრე და ჩამოწერე რაც შეიძლება მეტი სიტყვა, რომელიც მოიაზრება კრებით სახელში „ემოცია“.

მაგალითად: **ავეჯი – სკამი, მაგიდა, კარადა, დივანი, სავარძელი...**

წაიკითხე ხატოვანი გამოთქმა, შეარჩიე სწორი განმარტება და გადაწერე რვეულში.
შეადგინე წინადადებები ამ ხატოვანი გამოთქმების გამოყენებით.

ზურგის ჩვენება:

ა) უარის თქმა ბ) გაბრაზება გ) ლაჩრობა

პირში ბურთის ჩაჩრა:

ა) გაოცება ბ) გაჩუქება გ) აღშფოთება

- **ყურადღებით წაიკითხე განმარტებები და შეადგინე წინადადებები ხატოვანი გამოთქმების გამოყენებით.**
- **წინადადებები ჩაწერე რვეულში.**

სიტყვის ბანზე აგდება – პირდაპირი პასუხის თავიდან აცილება, აზრისა თუ ნათქვამის განგებ გაბუნდოვანება, მოსაუბრის თავიდან მოშორება.

ბეჭდის დაკვრა – სინამდვილის, სისწორის დამოწმება.

ეჩოსავით მხოლოდ თავისკენ მიითლის – ეჩო შრომის იარაღია, ერთგვარი სათლელი. ეს გამოთქმა ნიშნავს მხოლოდ თავის თავზე ზრუნვას.

შეარჩიე შესაფერისი სიტყვა დაასრულე წინადადებები და გადაწერე რვეულში.

1. სიღნაღში ბევრი ქუჩაა _____ .

ა) ვიწრო ბ) წვრილი გ) დაბალი

2. პაჭუა შეძლება იყოს _____ .

ა) თვალები ბ) ცხვირი გ) ტუჩები

3. ჟუჟუნა არ შეიძლება იყოს _____ .

ა) წვიმა ბ) სიმღერა გ) თვალები

4. მოჭმუხნილი შეიძლება იყოს _____ .

ა) შუბლი ბ) ტუჩი გ) თვალი

5. სასუსნავი არის _____ .

ა) ფრინველების საკენკი ბ) გემრიელი საჭმელი გ) წამალი

ამოიწერე სწორი განმარტება:

ნიმუში: 1. გული ერჩის

ა) გაბედულია ~~ბ)~~ გულქვაა ~~გ)~~ უკმაყოფილოა

1. აინუნში არ მოსდის

ა) თავს არაფრით იწუხებს
ბ) ყურადღებას არავის აქცევს
გ) არაფერი აინტერესებს

2. ბოლთას სცემს

ა) წინ და უკან დადის ბ) ბოლს ადენს გ) დაბორიალობს

3. დანა პირს არ უხსნის

ა) ავადაა ბ) დამწუხრებულია გ) მშიერია

4. სიტყვა ბანზე ააგდო

ა) საუბრის თემა განზრახ გაართულა
ბ) საუბრის თემა განზრახ გააიოლა
გ) საუბრის თემა განზრახ შეცვალა

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს. პასუხები დაწერე რვეულში.

სველი მზე

მზე ზღვაში ჭყუმპალაობს,
თან ნელ-ნელა ბინდდება,
თაკარა მზე ცივ ზღვაში,
ნეტავ, არ გაცივდება?!
ვერ მოასწრებს გაშრობას,
თანაც უკვე აგრილდა,
ხვალ დილით რომ ამოვა,
ჩვენ სველი მზე რად გვინდა?! –
ტიტინებდა მარიკა
ეგრეაო, ჰფიცავდა,
გურამიკოს წინაშე,
თან კიკინებს იწნავდა.

გურომ რა უპასუხოს?
გაუფუჭდა გუნება,
ბოლოს უთხრა დაიკოს:
– ასეთია ბუნება.
ღრუბელი იმ ზღვის წვეთებს
შეაწებებს გუნდებად
და ზღვას ხანაც წვიმად და
ხან ფიფქად უბრუნდება.
უცებ ჭრელი კენჭები,
ტალღამ გაახაჭუნა,
მზემ კი ბავშვებს ჩასვლისას,
თვალი ჩაუპაჭუნა.

მანანა ტონია

1. რომელი მხატვრული სახეა „მზე ზღვაში ჭყუმპალაობს“?
   ა) ეპითეტი ბ) გაპიროვნება გ) შედარება
2. რის გამო წუხდა პატარა მარიკა?
3. როგორ უბრუნდება ზღვის წვეთები დედამიწას?
4. როგორ გადმოვცეთ სხვაგვარად ეს ფრაზა: „თვალი ჩაუპაჭუნა“?

დაწერე რვეულში ხაზგასმული სიტყვების განმარტება.

1. დაზრული ბახალა ჯერაც ბურანში იყო.
2. უყვარდა ზურიას ბუზის სპილოდ გადაქცევა.
3. ქალმა ღაზლი მოიშორა.
4. ოქროპირობდა ჩემი ქართულის მასწავლებელი.
5. არ ეპრიანა დავითს შვილისთვის დათვური სამსახურის გაწევა.

დააკვირდი ფოტოს. წარმოიდგინე, რომ მწერალი ხარ და დაწერე პატარა ამბავი ფოტოსურათის მიხედვით. გამოიყენე ზედსართავი სახელები და ზმნიზედები.



ცხადი და ბუნდოვანი

ცხრილის პირველ სვეტში ამოიწერე ტექსტიდან ის ადგილები, რომლებიც შენთვის გაუგებარია, ბუნდოვანია და ეცადე, მეორე სვეტში მიუწერო სათანადო განმარტებები.

ბუნდოვანი ადგილი	განმარტება

ციტატა და პერიფრაზი

ცხრილის პირველ სვეტში ამოწერე ტექსტიდან რომელიმე მონაკვეთი. ცხრილის მეორე სვეტში გადმოეცი იგივე აზრი შენი სიტყვებით.

ციტატა	პერიფრაზი

ავტორმა თქვა და მე ვამბობ

ცხრილის პირველ სვეტში ამოწერე ტექსტიდან მნიშვნელოვანი ინფორმაცია და მეორე სვეტში ახსენი, როგორ გესმის.

ავტორმა თქვა	მე ვამბობ

ყურადღებით წაიკითხე მოცემული ტექსტი და გადმოეცი მისი შინაარსი ერთი წინადადებით.

როგორ ჩერდება ბუზი ჭერზე?

ადრე ეგონათ, რომ ბუზებს ჭერზე დასაჯდომად ფეხებზე არსებული უმცირესი ძაფები ეხმარებოდათ, რომლებითაც ისინი ჭერის უსწორმასწორო ზედაპირს ეჭიდებოდნენ. ძლიერი მიკროსკოპების გამოგონების შემდეგ, რომლებიც გამოსახულებას ათასჯერ ადიდებენ, გაირკვა, რომ ფეხის ბოლოებზე ბუზებს აქვთ სპეციალური ჯირკვლები, საიდანაც დაჯდომის მომენტში წებოვანი წვეთები გამოიყოფა.

წარმოიდგინე, რომ ერთმანეთს შეხვდნენ ზურაბ ქართველაძე და ქეთოს გამტაცებელი ლეკები. რაზე ისაუბრებდნენ ისინი? გადმოეცი ამბავი 30-40 სიტყვით.



წარმოიდგინე, რომ შენს კლასში სასწავლებლად გადმოვიდა ქეთო. გადმოეცი ამბავი 30-40 სიტყვით.

გაიხსენე შენი საყვარელი მოთხრობა.
დაასრულე წინადადებები და დაწერე რვეულში:

ჩემი საყვარელი მოთხრობაა _____

ერთ-ერთი პერსონაჟია _____

ეს მოთხრობა მომწონს, რადგან 1. _____

2. _____

ეს პერსონაჟი მომწონს, რადგან 1. _____

2. _____

წარმოიდგინე, რომ უცხოელი თანატოლი დაინტერესდა შენი ქვეყნის ტრადიციებით. აირჩიე რომელიმე ეროვნული ტრადიცია და წერილობით აღუწერე იგი თანატოლს. წერილი დაასრულე შენი დამოკიდებულებით ამ ტრადიციის მიმართ, როგორ აფასებ მას.

ერთხელ თამარ მეფე თურმე იმერეთიდან რაჭაში მიდიოდა. მთიდან გადმოუხედავს და მთებს შუა დაკლაკნილი მდინარე ყვირილას დანახვაზე უკითხავს: ჭიაა თუ რა? მოგვიანებით ამ ადგილას დაარსდა ქალაქი, რომელსაც დაერქვა ჭიათურა.

1. ლელიანი კახეთის ერთ-ერთი ლამაზი, უხვმოსავლიანი სოფელია. როგორ ფიქრობთ, რატომ დაერქმეოდა მას ეს სახელი? *(მოიგონე რამე ამბავი)*
2. ახმეტის რაიონში ერთ ლამაზ სოფელია ჰქვია კუწახტა. როგორ ფიქრობთ, რატომ დაერქმეოდა მას ეს სახელი? *(მოიგონე რამე ამბავი)*
3. საგარეჯოში ერთ ლამაზ სოფელს ჰქვია ხინჭები. როგორ ფიქრობთ, რატომ დაერქმეოდა მას ეს სახელი? *(მოიგონე რამე ამბავი)*
4. აჭარაში ერთ-ერთ მთას პერანგა ჰქვია. როგორ ფიქრობთ, რატომ დაერქმეოდა მას ეს სახელი? *(მოიგონე რამე ამბავი)*
5. სამცხე-ჯავახეთში ერთ-ერთ მთას ჰქვია თავშანთაფა, როგორ ფიქრობთ, რატომ დაერქმეოდა მას ეს სახელი? *(მოიგონე რამე ამბავი)*

გადაიყვანე ტექსტი მესამე პირში და ისე გადაწერე რვეულში.

წავედი მაყვალზე. იქ კი არა, სოფლის გოგო-ბიჭობა და ქალები რომ დადიან. შორს, მდინარის გაღმა, ლეკიან ჭალაში. ვიარე, ვიარე, ვიარე. მაყვლის ერთ რიგიან ბარდსაც კი ვერ წავაწყდი. ხელცარიელს რა დამაბრუნებდა, შინ ბარტყებივით პირდაღებული პაწაწინა შვილიშვილები მელოდნენ, მაყვალს იმათ უწურავდნენ და წვენს ასმევდნენ. სად რა ჭაობებში ვტოპე, სად რა ბუწკნარში გავძვერი, სად რა ფლატეზე ავბობღდი. ბოლოს, როგორც იქნა, ორჭიქიანი მინის ქილა გავავსე, ზოგი წვრილით, ზოგი ჩიტის ნაკენკით. ამაზედაც მადლობელი უნდა ვიყო-მეთქი. მოვუკარი იმ ქილას თავი, ჩავიდე ჩანთაში, ავიღე ჯოხი და შინისკენ გავწიე.

მოცემული ტექსტის შინაარსი გადმოეცი 4-5 წინადადებით და დაასათაურე.

ლომს ტყეში ეძინა. თაგვმა ტანზე გადაურბინა. ლომმა გამოიღვიძა და დაიჭირა თაგვი. თაგვმა უთხრა: გამიშვი და გაჭირვებაში დაგეხმარებიო. ლომმა გულიანად გაიცინა და გაუშვა თაგვი.

გავიდა ხანი. მონადირეებმა ლომი დაიჭირეს და თოკით ხეზე მიაბეს. უნდოდათ, მერე მისულიყვნენ და ცოცხალი წაეყვანათ. მონადირეები რომ წავიდნენ, ლომმა საშინელი ღრიალი მორთო. თაგვმა გაიგონა ლომის ხმა, მიცუნცულდა, გადაღრღნა თოკი, გაათავისუფლა ლომი და უთხრა: გახსოვს, რომ დამცინე? ახლა ხომ ხედავ, რომ პატარა თაგვსაც შესძლებია დახმარება დიდი და ძლიერი ლომისთვისაო“.

ჩამოწერე წინადადებათა ნომრები ისეთი თანმიმდევრობით, რომ გამოვიდეს ამბავი.

1. ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა კომპიუტერებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შესწავლისადმი განსაკუთრებული მიდრეკილებით.
2. ბავშვობა ნიუ-იორკის საუკეთესო ნაწილში გაატარა.
3. ფეისბუქის შემქმნელი მარკ ცუკერბერგი 1984 წლის 15 მაისს დაიბადა.
4. პატარა მარკი სიხარულით ცას ეწია, ყველა საქმე მიატოვა და საკუთარი იდეების განხორციელებას შეუდგა.
5. სამი წლის შემდეგ პატარა პროგრამისტმა უკვე კომპიუტერული თამაში შექმნა.
6. მე-6 კლასში იყო, როდესაც საკუთარი კომპიუტერი აჩუქეს.

ყურადღებით წაიკითხე მოცემული ნაწყვეტი და მოკლედ, 2-3 წინადადებით, გადმოეცი შინაარსი.

ბებოს სალომე

სოფელში ყველა „ბებოს გოგოს“ ეძახდა სალომეს. ისიც ისე იყო ამ სახელს მიჩვეული, თავისი ნამდვილი სახელი აღარც კი ახსოვდა. როცა სკოლაში დაუძახეს და სწავლა დაიწყო, ხშირად მასწავლებლის გამოძახებაზე, სალომე გამოვიდეს დაფასთანო, ისევ მშვიდად იჯდა. მერე მასწავლებელმაც გადაივიწყა მისი სახელი და ისიც „ბებოს გოგოს“ აყოლებდა გაკვეთილს, „ბებოს გოგოს“ აგზავნიდა ზარის დასარეკად.

კარგი იყო სწავლა, მისთვის უცხო სამყაროს ეზიარებოდა წიგნით „ბებოს გოგო“, მაგრამ სიდო ბებოს ზღაპრები მაინც სულ სხვა იყო. ჯერ კიდევ გული სწყდებოდა იმაზე, რომ სალომე ერქვა და არა ეთერი.

პირველად რომ მიიყვანეს სკოლაში, ერთ მის თანაკლასელ ბიჭს მურმანი ერქვა. ისე იყო სალომე ზღაპრის შთაბეჭდილებით შეპყრობილი, რომ არა თუ ხმას არ სცემდა იმ ბიჭს, მისი დანახვაც კი არ უნდოდა.

გოდერძი ჩოხელი

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და 2-3 წინადადებით გადმოეცი, რა არის ტექსტის ძირითადი სათქმელი.

ვინ იყო რობინზონ კრუზო?

დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზო“ მსოფლიოში ცნობილი ნაწარმოებია. მთავარ პერსონაჟს ჰყავდა რეალური პროტოტიპი (ანუ სინამდვილეში არსებული ადამიანი, რომელიც შემდეგ ლიტერატურულ გმირად იქცა).

იყო ასეთი შოტლანდიელი მეზღვაური, ალექსანდრე სელკირკი. იგი 19 წლის იყო, როცა მშობლიური ქალაქი მიატოვა და ერთ-ერთ გემზე მეზღვაურად დაიწყო მუშაობა. ერთ დღეს უთანხმოება მოუვიდა კაპიტანთან. სელკირკი გემიდან ჩამოაბრძანეს და კუნძულზე გადასვეს, სადაც ის თევზაობდა, ნადირობდა, მოიშინაურა ველური თხები.

4 წლის შემდეგ ინგლისური ხომალდი გამოჩნდა და თმა-წვერმოშვებული სელკირკი გემზე აიყვანეს. დაბნეულმა და ხალხს გადაჩვეულმა მეზღვაურმა პირველი სიტყვის თქმა მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მოახერხა.

მწერალმა დანიელ დეფომ ალექსანდრეს თავგადასავალი შეალამაზა და მშვენიერი წიგნი დაწერა.

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და 2-3 წინადადებით გადმოეცი შინაარსი.

რა შეიძინა ინდიელებისგან კაცობრიობამ?

ამერიკიდან უამრავი მცენარეული კულტურა შემოიტანეს ევროპაში. ძნელი წარმოსადგენია, რომ ლობიოს, წიწაკას, პომიდორს, სიმინდსა და კარტოფილს XV საუკუნემდე ჩვენს კონტინენტზე არავინ მიირთმევდა. ასევე არავინ იცოდა, რა იყო შოკოლადი ან ყავა, რადგან კაკაოსა და ყავის ხეები ამერიკაში ხარობდა. თუმცა ყველაზე გასაოცარი ევროპელებისათვის თამბაქო იყო. ესპანელები დაიბნნენ, როდესაც დაინახეს ინდიელი, რომელიც პირიდან ბოლს უშვებდა. ინდიელებმა მოიგონეს კაუჩუკის გამოყენებაც. ბურთს ისინი კაუჩუკის ხისგან ამზადებდნენ. კაუჩუკის ხის კანს ჭრიდნენ და მის წვენს აგროვებდნენ, შემდეგ კი აშრობდნენ და რეზინის მსგავს მასას იღებდნენ. მოგვიანებით ევროპელებმა გადაამუშავეს კაუჩუკი და მისგან რეზინის მიღება ისწავლეს.

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და 2-3 წინადადებით გადმოეცი მისი შინაარსი.

მაისურის ისტორია

მე-19 საუკუნემდე მამაკაცებს რეიტუზზე მიკერებული მაისური, კომბინეზონი, ეცვათ. შემდეგ ეს ორი სამოსი ერთმანეთს დააშორეს. მაისური ამერიკელი სამხედროების, მეშახტეებისა და პორტის მუშების ფორმის აუცილებელ ატრიბუტად იქცა.

მოგვიანებით ამერიკელი მსახიობი მარლონ ბრანდო ერთ ფილმში მაისურით გამოჩნდა. რადგან ის ყველასათვის მისაბაძი მამაკაცი იყო, თითქმის ყველა ბიჭმა დაიწყო მაისურის დამოუკიდებელ სამოსად ჩაცმა. მე-20 საუკუნის 50-იან წლებში პოპულარული გახდა ნახატებიანი მაისური, რომლის ყველაზე მეტად გავრცელებული გმირი მიკი მაუსი იყო. დღეს სხვადასხვა ფერის, ნახატებიანი და წარწერებიანი მაისური არსებობს.

ყურადღებით წაიკითხე მოცემული ნაწყვეტი და მოკლედ, 4-5 წინადადებით, გადმოეცი შინაარსი.

დასანგრევი სახლი

ქალაქ ბუსტო-არსიციოში ბავშვები ერთი ხანობა ისე აფუჭებდნენ, ამტვრევდნენ და ხევდნენ ყველაფერს, რომ იქაურები მართლა ძალიან შეფიქრიანდნენ. ვინმეს არ ეგონოს, ფეხსაცმელზე, შარვლებზე და სკოლის ჩანთებზე ვლაპარაკობდე. არა, რა სათქმელია! ფეხბურთის თამაშს რომ დაიწყებდნენ, მინებს სულ ლაწალუწი გაჰქონდა, მაგიდას თუ მიუსხდებოდნენ, ერთი მთელი თეფში არ გადაურჩებოდათ, ფინჯნებს ხომ ნუღარ იტყვი, რომელ კაფეშიც შევიდოდნენ, ამსხვრევდნენ და ამსხვრევდნენ. კედლებს კი ჯერჯერობით ალბათ იმიტომ არ ანგრევდნენ, ხელთ ჩაქუჩები არა ჰქონდათ.

მშობლებმა პირდაპირ აღარ იცოდნენ, რა ექნათ, და, ბოლოს, ქალაქის თავს მიადგნენ.

– რას იტყვით, ჯარიმა რომ დავადოთ, ჰა? – აზრი იკითხა ქალაქის თავმა.

– ძალიან კარგი იქნება! ერთხმად შესძახეს მშობლებმა. – ავდგებით და სულ ნამტვრევებით და ნატეხებით გადავიხდით.

იმ მხარეში იღბლად უამრავი ბუღალტერი იყო. თანაც ყველა ბუღალტერმა ჩინებულად იცოდა ანგარიში. ყველაზე უკეთესად კი მაინც ძველი ბუღალტერი, სინიორ გამბერონი ანგარიშობდა. ერთხელაც მან აიღო ფურცელ-ქაღალდი, ფანქარი და სულ იანგარიშა, რაც ბუსტო-არსიციოელმა ბავშვებმა ქალაქს ზარალი მიაყენეს. იანგარიშა და, იცი, რამდენი გამოვიდა ზარალი? გაუგონარი თანხა!..

ჯანი როდარი

ყურადღებით წაიკითხე მოცემული ნაწყვეტი და მოკლედ, 4-5 წინადადებით, გადმოეცი შინაარსი.

„დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ ზღარბებს ზურგზე ეკლები კი არა, თმები ჰქონდათ. მართალია, ჯაგარივით მაგარი, მაგრამ... ყველა ზღარბი თმას მოკლედ იკრეჭდა და ამიტომაც გაფშეკილი, მოკლე თმა შორიდან კაცს ეკლები ეგონებოდა.

ერთ პატარა, კოპწია ზღარბუნას არაფრით არ უნდოდა წამოზრდილი თმის შეკრეჭა.

– ასე უფრო ლამაზია, ასე უფრო მიხდება, – არწმუნებდა დედას.

– ზღარბუნა, მაგ თმებით სადმე ბალახებში ან ეკლებში გაიბლანდები, – რამდენჯერმე გააფრთხილა დედამ, მაგრამ ვერაფერი გააწყო და დაანება თავი.

ერთხელაც ზღარბები ტყეში წავიდნენ პანტა-ვაშლის მოსაგროვებლად. ზღაბუნას თმები ხან ბალახის ღეროებს გამოედო, ხან ხის ამოშვერილ ფესვს. ზემოდან არწივმა შენიშნა, ისარივით დაეშვა და თმებში ჩაავლო ბრჭყალები, მაგრამ გრძელი თმები გაუსრიალდა ბრჭალებს შუა და ზღარბუნა ეკლებში ჩავარდა.

– მიშველეთ, დამმალეთ, გენაცვალებით, – შეევედრა ზღარბუნა ეკლებს.

– მოდი, მოდი, ჩაგვეხუტე. ეკლებს აგასხამთ, რომ ვერავინ მოგეკაროს. – მიუალერსეს ეკალ-ბარდებმა.

ყველა ტოტმა თითო ეკალი ჩააბნია თმაში ზღარბუნას. არწივი გაფრინდა. ზღარბმა გამობობღება დაიწყო. თმები ეკლებში გაეხლართა და დაეწიწკნა, მაგრამ სამაგიეროდ ეკლები შერჩა...“

მანანა კაკაჩია

ყურადღებით წაიკითხე მოცემული ნაწყვეტი და მოკლედ, 4-5 წინადადებით, გადმოეცი შინაარსი.

ნაყინის სახლი

არცთუ დიდი ხნის წინათ ბოლონიაში, ზედ მთავარ მოედანზე, ნაყინის სახლი ააგეს. ვინ იცის, საიდან აღარ მოგროვდნენ იმ მოედანზე ყმაწვილები, ყველაზე მივარდნილი მხარეებიდანაც კი ჩამოვიდნენ. გავიგეთ გემრიელი სახლი აუშენებიათ და იქნებ ცოტა მაინც გაგვალოკინონო.

ნაყინის სახლს მარმელადის სახურავი ჰქონდა, საკვამურებიდან კვამლის მაგივრად გა-თქვეფილი ნაღები ამოდიოდა, ბუხრები კი სულ ერთიანად დაშაქრული ხილისა გაემართათ. დანარჩენი ყველაფერი ნაყინისა იყო – კარებიც, კედლებიც. ავეჯი რომ ავეჯია, ისიც ნაყინისა იდგა.

ერთი პატარა ბიჭი ლამის ზედ აეკრა სასადილო მაგიდას. იმდენი ულოკა ოთხივე ფეხი, მაგიდამ ვეღარ გაუძლო და თავზე დაემხო თავის თეფშებიანად და ლამბაქებიანად.

ერთხელაც იქით ქალაქის ყარაულმა ჩაიარა და დაინახა – ერთი ფანჯარა თანდათან დნებოდა. ფანჯარას მინები მარწყვის ნაყინისა ჰქონდა და იმიტომაც იყო, ვარდისფრად რომ წურწურებდა.

– არიქათ! – ყვირილი ატეხა ყარაულმა. – მალე!

ყველანი ერთბაშად მისცვივდნენ შემდნარ სახლს და გაჩაღდა ლოკვა, მაგრამ რა გაჩაღდა! აი, პირის ჩატკბარუნება იქ იყო!

რაღა ბევრი გავაგრძელო, ნამდვილი დღეობა გაიმართა!..

ჯანი როდარი

ყურადღებით წაიკითხე მოცემული ტექსტი და მოკლედ, 3-4 წინადადებით, გადმოეცი შინაარსი.

თუნა

თუნა და თინა მეგობრები არიან და მთის ერთ პატარა სოფელში ცხოვრობენ. თუნა ძროხას ჰქვია, თინა კი მისი პატრონია.

– თუნა! თუნა! – გადადგება სოფლის გორაზე და გასძახის ძროხას.

სადაც არ უნდა იყოს ამ დროს თუნა, პატრონის ხმას გაიგონებს თუ არა, თავს მაღლა ასწევს და რაც შეუძლია ხმამაღლა გამოეხმაურება პატრონს:

– მუუუ! – ეგ არის მისი პასუხი.

– მოდი, თუნა, მოდი, მარილი გაჭამო.

თუნა კისერს წაიგრძელებს, კუდს მაღლა აპრეხავს და გარბის პატრონისაკენ.

– მოდი, გენაცვალოს ბებო (თინა თუნას ბებიაც არის), მოდი, – ხელის გულზე დაყრილ მარილს გაუწვდის თინა და ძროხა ისე გემრიელად ლოკავს მის ხელს, თანაც პატრონი ისე ფხანს კისერზე და შუბლზე, თუ გინდა სადმე სიყვარულის სრული გამოხატულება ნახო, მათ უნდა უყურო ამ დროს.

– წამო, ეხლა წყაროზე წავიდეთ, – წყაროსკენ მიუძღვება თინა.

წყალს რომ დალევენ, თინა ეტყვის:

– წადი, თუნა, დეკიანებში გადადი და იქ მოძოვე, ოღონდ საღამოს არ დაიგვიანო.

თუნა ძოვნა-ძოვნით გაუყვება ფერდობს. თინა ერთ ხანს უყურებს და სიყვარულით ჩაილაპარაკებს:

– შენ გენაცვალოს ბებო, შენა!

გოდერძი ჩოხელი

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და 2-3 წინადადებით გადმოეცი, რა არის ტექსტის ძირითადი სათქმელი.

რობოტი

რობოტი უცხო სიტყვაა. იგი პირველად თითქმის ასი წლის წინ ჩეხმა მწერალმა კარელ ჩაპეკმა მოიხსენია თავის ერთ-ერთ მოთხრობაში. რობოტი მან რკინის ნაწილებისაგან შექმნილ ადამიანს უწოდა. ქართულად „რობოტს“ მონას, არათავისუფალ მშრომელსაც უწოდებენ, რომელიც სხვის შესასრულებელ სამუშაოს ასრულებს.

პირველი რობოტები მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში შეიქმნა. მათ გასართობად და სათამაშოდ იყენებდნენ. დღეს კი ათასობით რობოტია დასაქმებული ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოსმოსში, ოჯახებსა და სამხედრო საქმეში. ისინი ერთდროულად უამრავ და ძალიან რთულ საქმეს ასრულებენ. შეიძლება მათ ადამიანისაგან განსხვავებით რამდენიმე ხელიც კი ჰქონდეთ. რობოტი ძალიან სწრაფად და დიდი სიზუსტით მუშაობს, თუმცა ადამიანის გარეშე არაფერს წარმოადგენს. სწორედ ადამიანი ქმნის მას თავის დამხმარედ და სურვილისამებრ მართავს.

მოცემულ სიტყვებს მოუძებნე ადგილი ტექსტში:

გამოიღვიძეს, სიცოცხლე, თოვლის, მზის, მიძინებულ, სხივებმა, მოიქარგა, ყინვისაგან, მოიფშვნიტა, ამოყო.

ნიმუში: 1 – მზის, 2 – სიცოცხლე

ენძელა

გაზაფხულის ___1___ სხივმა თოვლიან „მზორეს“ საკინძე ჩაუხსნა და შიგ ჩაუძვრა. გაღვიძებულმა მიწამ ___2___ იგრძნო, ამოისუნთქა და ნეკნებს შორის აქა-იქ კისკისით ჩაატარა ___3___ მიძინებული თოვლის ნაკადულები, მზის სხივებზე რომ ___4___ და ჩაიკისკისეს.

მიწამ თანდათან გადაიღეღა ჩამოხეული ___5___ საკინძე, გალღვა, ორთქლი ამოუშვა და მზის სხივებზე ახალი მოლი ___6___. მერე ისე მძლავრად დაუწყო გულმა ბაგა-ბუგი, რომ მის მკერდში ___7___ ენძელას ხმაურზე გამოეღვიძა. ნამძინარევს ჯერ გაუკვირდა, რა სიბნელეაო, თვალები ___8___ და, სინათლე რომ ვერ იგრძნო, სწრაფად ___9___ თავი ახალმოქარგულ მოლზე. მზის დანახვაზე ჯერ დაიმორცხვა, მერე ხარბად რომ ჩაკოცნეს მზის ___10___, თანდათან გული მოეცა.

მოცემულ სიტყვებს მოუძებნე ადგილი ტექსტში:

შევუშინდი, ლომაც, სანადირო, ხანია, სიცილით, მოვიმარჯვე, სოფელში, მოისროლა, გამოვიდოდა, მოტრფიალე, საგმირო, ტყეში.

ნიმუში: 1 – სოფელში

ეს ამბავი იმერეთის ერთ-ერთ ___1___ მოხდა და, მიუხედავად იმისა, რომ ამ ყველაფრიდან საკმაოდ დიდი ___2___ გასული, მას დღემდე ანეკდოტად ყვებიან...

მაშინ სოფელში ცხოვრობდა ერთი ნადირობის ___3___ კაცი, ონისე მხეიძე, ძაღლიც ჰყავდა, ღრმად პატივცემული ლომა. ___4___ ონისე გარეთ, დაჯდებოდა საფიხვნოში და თავის ___5___ საქმეებს მოუთხრობდა იქ მყოფთ:

– ავიღე ერთ დღეს ჩემი ___6___ თოფი, შენ ხარ ჩემი ბატონი, და, წავედი ___7___. რასაკვირველია, თან ___8___ გევიყოლიე, აბა, სხვანაირად როგორ მოვიქცეოდი?! ვიფიქრე: შემომხვდება კურდღელი ან მწყერი-მეთქი და... დათვი არ შემხვდა?! არ ___9___ და თოფი ___10___, მაგრამ ვინ დამაცადა სროლა?! გაჰკრა ამ შეჩვენებულმა თოფს ხელი და ___11___ სადღაც ჯანდაბაში!

– შენ რა გეგონა, ერთი, ონისე, ჭკუით გატენილო, გაგიწვებოდა ის დათვი წინ და აქეთ შეგეხვეწებოდა: შენს ბედნიერებას, მომკალიო?! ჰა? – ___12___ დაეკითხა მონადირეს ულვაშა, ოდნავ ჩასხმული იოსები, რომელიც სულ წაჰკბენდა ხოლმე ონისეს.

მოცემულ სიტყვებს მოუძებნე ადგილი ტექსტში:

გაკეთება, მიწას, ზამთარი, თბილ, ფრთებს, გაზაფხული, ფიფქები, ზვავებად, თოვლის, თეთრი, ფრთოსნებიდან, ჩამოიფრენდა.

ნიმუში: 1 – ჩამოიფრენდა, 2 – ფრთოსნებიდან

დღითიდღე იცრიცებოდა, იძარცვებოდა შემოდგომა. კვირაში ერთხელ არწივი ___1___ ხეობაში, მიდამოს თვალს გადაავლებდა, შეამოწმებდა, ___2___ რომელიმე ხომ არ დარჩა ___3___ ქვეყანაში წამსვლელიო და რომ დარწმუნდებოდა, ისევ ჭიუხებისკენ წავიდოდა ყეფით. ერთი-ორჯერ თუ შეატყლაშუნებდა ___4___, მეტად არა.

დღეები თანდათან მსუბუქდებოდა, გამსუბუქებული დედამიწა თითქოს ზეცისკენ მიიწევდა. ცასა და ___5___ ერთი ფერი დაედებოდა, ახლა ვხვდები, რომ ეს ფერი გარდაცვალების ფერი იყო, მტკნარი და მიტკალივით ___6___.

და ამის მერე იყო ზამთარი. თოვლის ___7___ მოდიოდნენ. ზეცის ყვავილობა გეგონებოდა. ყველაფერი ___8___ საბურველში გაეხვეოდა, და არაფერი არ უხდებოდა ბავშვობას ისე, როგორც ___9___. ციგაობა, თოვლის კაცების ___10___, გრძელი ზღაპრებით სავსე ღამეები და... ყოველთვის, ეს რომ მოგვწყინდებოდა, სწორედ მაშინ მოვიდოდა ___11___. შეეშინდებოდა ზამთარს, დანაწილდებოდა ნაკადულებად ___12___ და გარბოდა, მიწაში იმალებოდა. ზეციდან მოსული იყო, მაგრამ მიწაში იმალებოდა.

მოცემულ სიტყვებს მოუძებნე ადგილი ტექსტში:

ბრძანებას, ღორმა, შინიდან, ყურადღებით, ჭკვიანი, თვალებში, მსხალი, ნაყოფს, მიურბენინებდა, ყურისგდებაც, ნათალს, ხელს, ამბის, მიირთმევდა.

ნიმუში: 1 – შინიდან, 2 – ბრძანებას

ბაბუა ისე დაუმეგობრდა ძაღლს, უმალ მე გამაგდებდა __1__, ვიდრე მას. შეშის მოსატანად თუ წამყვებოდა ხანდახან, ან წისქვილში, ისიც ღამით, თორემ სხვა დროს იწვა ბაბუას ფეხებში გაწვართული და მის __2__ ელოდა. თვალები თაფლისფერი ჰქონდა, სევდიანი და __3__, მოძრაობა ზანტი, მაგრამ საკმარისი იყო, ხიდან ვაშლი ან __4__ ჩამოვარდნილიყო, შურდულივით მოწყდებოდა ადგილს, __5__ არ მიმასწროსო, მივარდებოდა ხის ძირში, აიღებდა __6__ და ბაბუას __7__. ბაბუა, თავის მხრივ, ქეჩოში წაავლებდა __8__, ნაზად მოქაჩავდა მადლობის ნიშნად, მერე გათლიდა, გულს თვითონ შეჭამდა და __9__ ძაღლს დაუყრიდა და ისიც ისეთი სიამოვნებით __10__ ბაბუას ხელიდან მიწოდებულ ნათალს, თითქოს ამ ხის ძირში ვაშლი და მსხალი თავსაყარი არ ყოფილიყოს. __11__ კარგი იცოდა ძაღლმა. მარტო მას შეეძლო ბაბუას ათასჯერ მონაყოლი __12__ წარბშეუხრელად მოსმენა. რაც უფრო გრძელი იყო ამბავი, მით უფრო __13__ ისმენდა ძაღლი. თან ისე შესცი ცინებდა __14__, თითქოს ეხვეწებოდა, თუ კაცი ხარ, მაგ ამბიდან ერთი სიტყვა არ გამომიტოვოო.

მოცემულ სიტყვებს მოუძებნე ადგილი ტექსტში:

კატას, სოფლის, გოგო-ბიჭებს, ჩაბნელებულ, სახედრებსა, წამოდგა, წყალს, ნელ-ნელა, ფოთლები, თვალები, მთვარით, მუხლებს, ოქროს, ბერვა, თბილი

ნიმუში: 1 – ჩაბნელებულ, 2 – წამოდგა

ყინულის პაპას მთელ დღეს ღრმა, __1__ ხევში ეძინა. მზე რომ ჩადიოდა, კიდურების ჩხარაჩხურით __2__ (ყინულის პაპას ხომ კიდურებიც ყინულისა აქვს), გრძლად დაამთქნარა, მერე __3__ მოიჩრდილა, მიდამო მოათვალიერა და __4__ შეუდგა თავის საქმეს. ჯერ სერს გადაუსვა ზემოდან ცივი ხელი – აი, ასე, ჩვენ რომ __5__ გადავუსვამთ ხოლმე ზურგზე, – შმაშურა ბალახები გაკირჩხლა, გააშეშა, შემდეგ დაბლა დაჰყვა, კალოს პირებზე მობალახე ცხენებს, __6__ და ინდაურებს ამოაძუებინა კუდები. იქიდან ვენახებში ჩავიდა, აქა-იქ შერჩენილი __7__ დაკრუნჩხა, დაასაცოდავა. ვენახებიდან __8__ ორღობეებს ჩამოუარა, თამაშით გართულ __9__ ცხვირის წვერები აუწვა და სახლებში შერეკა. ჩიტუნებსაც __10__ ბულულები მოანახვინა. სულ ბოლოს წისქვილის არხზე ჩავიდა, ნაპირთან ჩაჯდა, იდაყვებით __11__ დაეყრდნო, ხელები ყბებზე შემოიწყო, ლოყები დაბერა და ნელ-ნელა დაუწყო სულის __12__ წყალს.

ზის ასე ყინულის პაპა არხის პირას, ნელ-ნელა უბერავს __13__ და თან მღერის კიდეც:

აბლი-ბაბლი, __14__ ტახტი,
მზით ავიღე, __15__ დავდგი.

მოცემულ სიტყვებს მოუძებნე ადგილი ტექსტში: დანავარდობდნენ, ლობიოს, თბილისში, მოფრინდებოდნენ, დაბურული, კონვერტში, არდადეგები, იცმუცნებოდნენ, მარწყვის, დედაკაცი, მოხუცი, უყვარდათ, შვილიშვილებს, ჯამებზე, ფიცრის.

ნიმუში: 1 – დაბურული, 2 – დანავარდობდნენ

„მაღალი, სევდიანი მთის ძირას ___1___ ტყე იყო. ტყეში შვლები და ირმები ___2___, ტყის პირას კი ხის პატარა სახლი იდგა და შიგ კაცი და ___3___ ცხოვრობდნენ.

კაცს თევდორე ერქვა, დედაკაცს – ეფემია. ორივე ღრმად ___4___ იყო, ორივე – გადათეთრებული, დაპატარავებული, სახეჩამყუდროებული. გააკეთებდნენ თუჯის შავ ქვაბში ფაფას ან ___5___ შეჭამანდს, მიუჯდებოდა ერთი აქედან, მეორე იქიდან, გადმოიღებდნენ თიხის ___6___, მოიმარჯვებდნენ ბზის კოვზებს და ___7___ ბებრულად. სხვა ყველაფერს, რასაც კი თვალმახარას და გემრიელს იშოვიდნენ, ___8___ უნახავდნენ.

შვილიშვილი კი ორი ჰყავდათ. ისინი, დედასთან ერთად, ჩვენს ლამაზ, საყვარელ ___9___ ცხოვრობდნენ.

როდესაც გუგულები და მოლაღურები ___10___, როცა ბალი შეწითლდებოდა და მინდვრებს ___11___ სურნელება მოეფინებოდა, სოფლის ფოსტალიონი, კაფანდარა საბა, ღელეზე გადებულ ___12___ ხიდზე ხელებგაშლილი გამოვიდოდა, აღმართს ქაქანით ამოირბენდა და ჩვენს მოხუცებს ცისფერ ___13___ ჩადებულ წერილს მიუტანდა. წერილში ეწერა, რომ მათ შვილიშვილებს, დარეჯანსა და ავთანდილს, ისინი, პაპა და ბებია, ძალიან ___14___, სწავლით კარგად სწავლობდნენ, უკვე ___15___ დასწყებოდათ და მომავალ კვირას ჩამოსვლასაც აპირებდნენ...“

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს. პასუხები დაწერე რვეულში.

„მადიკენს სინამდვილეში მარგარეტი ჰქვია. მაგრამ პატარა რომ იყო, თავის თავს მადიკენს ეძახდა. ახლა დიდია, თითქმის შვიდი წლის არის. თუმცა კვლავინდებურად მადიკენს ეძახიან. მარგარეტი მხოლოდ მაშინ არის, როცა რამეს აშავებს და ჭკუას არიგებენ. ეს კი საკმაოდ ხშირად ხდება. ელისაბეტს ლისაბეტს ეძახიან და იშვიათად სჭირდება ჭკუის დარიგება. მადიკენი სულ რაღაც უჩვეულო გასართობს იგონებს. თან არასოდეს უფიქრდება, რა მოჰყვება ამ ამბავს, მერე კი ნანობს ხოლმე. ძალიანაც უნდა, რომ წყნარი და დამჯერი ბავშვი იყოს. წუხს, რომ ხანდახან ბედი არ სწყალობს და სულ სხვა რამე გამოსდის...“

1. როდის ეძახიან მადიკენს მარგარეტს?
2. ელისაბეტს რატომ ეძახიან ყოველთვის ლისაბეტს?
3. ტექსტში მოძებნე და ამოწერე ხატოვანი გამოთქმა.
4. რატომ უხდება სანანებელი უჩვეულო გასართობების გამოგონება მადიკენს?
5. ვინ შეარქვა მარგარეტს მადიკენი?

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს. პასუხები დაწერე რვეულში.

ტყე

ტყეს დედამიწის ფილტვებს უწოდებენ, რადგან მცენარეები დიდი რაოდენობით ჟანგბადს გამოყოფენ და ნახშირორჟანგს შთანთქავენ. მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ ერთი ჰექტარი ტყე ერთ საათში ორასი ათასი ადამიანის ამონასუნთქ ნახშირორჟანგს შთანთქავს. ქალაქებისა და გზატკეცილების ახლოს გაშენებული მწვანე ნარგავები ჰაერს მტვრისაგან ასუფთავებენ. ტყე თავისი სილამაზითაც გვხიბლავს. ტყეში ბევრია სამკურნალო მცენარე.

1. რატომ არის მნიშვნელოვანი ხეების დარგვა გზატკეცილების პირას?
2. რატომ უწოდებენ ტყეს „დედამიწის ფილტვებს“?
3. რა არის ტექსტის მიზანი?
   ა) მოგვაწოდოს ინფორმაცია ტყის სილამაზეზე,
   ბ) მოგვაწოდოს ინფორმაცია ტყის სარგებლობაზე,
   გ) მოგვაწოდოს ინფორმაცია სამკურნალო მცენარეების შესახებ.

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს. პასუხები დაწერე რვეულში.

რა ღირდა მისი სიცოცხლე

(ნამდვილი ამბავი)

რობერტ ბერნსი შოტლანდიელი პოეტი იყო. მას უყვარდა უბრალო ხალხი და მათზე წერდა კიდეც. ის ძალიან ენამახვილი იყო.

ერთ დღეს, როდესაც ნავსაშენთან სეირნობდა, წყლიდან ადამიანის განწირული ყვირილის ხმა შემოესმა. რობერტმა სწრაფად მიირბინა წყალთან. ზუსტად ამ დროს დაინახა, თუ როგორ გადახტა წყალში მეზღვაური იქვე ახლოს მყოფი ნავიდან. მან სწრაფად მოუსვა ხელი და რამდენიმე წამში თითქმის უკვე დამხრჩვალ კაცთან გაჩნდა, გაჭირვებით ნაპირზე ამოიყვანა და ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა.

ეს კაცი მდიდარი ვაჭარი აღმოჩნდა. როდესაც გონებაზე მოვიდა, დიდი მადლობა გადაუხადა მეზღვაურს და შილინგი მისცა მადლობის ნიშნად. ამასობაში უამრავი ხალხი მოგროვილიყო მათ გარშემო. ისინი მეზღვაურს გმირად მიიჩნევდნენ და ძალიან არ ესიამოვნათ, როდესაც მდიდარმა კაცმა მხოლოდ ერთი შილინგი მისცა. პროტესტის ნიშნად ყვირილი დაიწყეს. ვაჭარი მათ ყურადღებას არ აქცევდა. ამ დროს რობერტ ბერნსი მიუახლოვდა ხალხს. აინტერესებდა, რა ხდებოდა. აუხსნეს. პოეტი არ გაუოცებია ვაჭრის ქცევას. შეაჩერა ხალხი და უთხრა: „თავი გაანებეთ. ჯენტლმენმა, თვითონ უფრო კარგად იცის თავისი სიცოცხლის ფასი“.

1. რომელი სიტყვებიდან ჩანს, რომ რობერტ ბერნსი მართლაც ენამახვილი კაცი იყო?
2. როგორი იყო პოეტის ხალხისადმი დამოკიდებულება?
3. რა თვისება გამოავლინა უცნობმა მეზღვაურმა?
4. რამ აღაშფოთა ხალხი?
5. როგორი ადამიანი აღმოჩნდა მდიდარი ვაჭარი?

ყურადღებით წაიკითხე ნაწყვეტი და უპასუხე კითხვებს. პასუხები დაწერე რვეულში.

ბამბაქულა

ყველაზე გალაღებულად და ბედნიერად მაშინ გრძნობდა თავს ბამბაქულა, როცა ზღვის ლურჯ ტალღებს დაეწაფებოდა. ამას კიდეც გამოხატავდა ხოლმე ხმამაღლა:
– რა გემრიელია ზღვის წყალი! – გაიძახოდა და მეტი სიამოვნებისგან სახე ერთიანად ებადრებოდა.
ერთხელ ბამბაქულას ამ სიტყვებს იქვე ტალღებში თევზებზე მონადირე თოლიამ მოჰკრა ყური და ძალიან გაიოცა:
– რაო, ბამბაქულა, ზღვის წყალსა სვამ?
ბამბაქულამ მოზრდილი ყლუპი შესრუტა და ლოყებგაბუშტულმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.
– ზღვის წყალი რა დასალევია, – უთხრა თოლიამ. – ცარიელი მარილის გემო აქვს.
– როგორ, განა არსებობს სადმე უმარილო წყალი? – იკითხა ბამბაქულამ.
თოლიამ დამცინავად გადახედა და, აქაოდა, ამ ქვეყნისა არაფერი ესმისო, ძლივს გაიმეტა პასუხი:
– შენ წარმოიდგინე, არსებობს.
– მერე სად არის?
– სად და ზღვის ნაპირიდან შორს – მდინარეებში, ტბებში, ნაკადულებში.
თოლიას სიტყვებმა ბამბაქულა შეაფიქრიანა. თავი უხერხულად იგრძნო. „მართლაც დიდი სირცხვილია, რომ ზღვის გარდა არაფერი მინახავსო, – თქვა გულში...“

1. ბამბაქულას რა გრძნობას გამოხატავს ეს ფრაზა: „სახე ერთიანად ებადრებოდა?“
2. რატომ არ მოსწონდა თოლიას ზღვის წყალი?
3. ყველაზე გალაღებულად და ბედნიერად როდის გრძნობდა თავს ბამბაქულა?
4. რა არ იცოდა ბამბაქულამ თოლიასთან შეხვედრამდე?

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს. პასუხები დაწერე რვეულში.

ხელთათმანის ისტორია

ცნობილია, რომ ხელთათმანს ატარებდნენ ძველი სპარსელები და რომაელები. ძველად ხელთათმანს ამზადებდნენ მხოლოდ ტყავისაგან და იცვამდნენ ომისა და ნადირობის დროს ხელების დასაცავად. მე-8 და მე-9 საუკუნეებში გერმანიისა და სკანდინავიის თითქმის ყველა მცხოვრებს ზამთარში ხელთათმანი ეცვა. ქალებმა მოსართავად ხელთათმანების ტარება დაიწყეს მე-13 საუკუნიდან. ასეთი ხელთათმანი მზადდებოდა ტილოსაგან და იყო გრძელი, თითქმის იდაყვამდე. ინგლისის დედოფალმა, ელისაბედ პირველმა, შემოიღო ძვირფასი ქვებით, ნაქარგებითა და მაქმანებით მორთული ხელთათმანები.

1. რა დანიშნულება ჰქონდა ხელთათმანს ძველი რომაელებისა და სპარსელებისათვის?
2. ზამთარში გერმანიისა და სკანდინავიის ყველა მცხოვრებს ეცვა ხელთათმანი, რა დასკვნა შეიძლება გააკეთო?
3. რა დანიშნულებით დაიწყეს ქალებმა ხელთათმანის გამოყენება?
4. როგორ ფიქრობ, რას უნდა ნიშნავდეს სიტყვა მაქმანი?

წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს წერილობით.

ხის ფოთლებიდან წყლის აორთქლება და მისი ჩრდილი შენობების გაგრილების ხარჯებს მთელ მსოფლიოში 3,45 მილიარდი ლარით ამცირებს.

ერთი ხე საშუალოდ ყოველწლიურად 113 კგ ჟანგბადს გამოყოფს. ეს ნიშნავს, რომ ორ მოზრდილ ხეს შეუძლია, გამოყოს ოთხსულიანი ოჯახისათვის ერთი წლის განმავლობაში სამყოფი ჟანგბადი.

მხოლოდ ერთი ხე იმდენ ნახშირორჟანგს მოიხმარს, რამდენსაც ერთი ავტომობილი გამოყოფს 42 000 კილომეტრის გავლისას.

კითხვები:

1. რისი საშუალებით აგრილებს ხე შენობებს?
2. რამდენ კგ ჟანგბადს გამოყოფს ხე ყოველწლიურად?
3. რა სარგებლობა მოაქვს ხეს ადამიანის ჯანმრთელობისთვის?
4. რატომაა აუცილებელი ხეების დარგვა და მისი მოვლა დიდ ქალაქებში?
5. რომელია შენი საყვარელი ხე? რატომ?
6. იპოვე ტექსტში ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში დასმული სახელები.

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს. პასუხები დაწერე რვეულში.

ქუსლიანი ფეხსაცმლის ისტორია

ფეხსაცმლის ქუსლის ფორმა, ზომა და სიმაღლე საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა. ბევრმა ქალბატონმა არც კი იცის, რომ თავდაპირველად ქუსლს აბსოლუტურად სხვა დანიშნულება ჰქონდა. ძველ ეგვიპტეში ქუსლიანი ჩექმები მიწაზე მომუშავე მონებს ეცვათ იმისთვის, რომ ადვილად შეძლებოდათ სახნავ მიწაზე გადაადგილება. ეს შეგვიძლია ქუსლის წინამორბედად ვივარაუდოთ.

ძველ საბერძნეთში თეატრის მსახიობები მაღალ ქუსლს სიმაღლეში მოსამატებლად იყენებდნენ. ფეხსაცმლის ძირები ხისგან მზადდებოდა. რაც უფრო მაღალი იყო ქუსლი, მით უფრო კეთილშობილ და მნიშვნელოვან პერსონაჟს თამაშობდა მსახიობი.

ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, ფეხსაცმელს ქუსლი პირველად ცხენოსნობისთვის მიამაგრეს, რათა ფეხი უზანგში არ გამძვრალიყო. თანამედროვე ქუსლი ფრანგმა ოფიცერმა გამოიგონა. ის მაღალყელიან ტყავის ჩექმას ატარებდა. ასეთი ჩექმა ცხენზე ჯირითის დროს გამოიყენებოდა. შემდეგ მან ნელ-ნელა ყოველდღიურ ცხოვრებაშიც გადაინაცვლა.

1. რატომ იცვამდნენ ძველ ეგვიპტეში მიწაზე მომუშავე მონები ქუსლიან ჩექმებს?
2. ძველ საბერძნეთში რისი მიმანიშნებელი იყო მსახიობის ფეხსაცმლის მაღალი ქუსლი?
3. რატომ მიამაგრეს ფეხსაცმელს ქუსლი?

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს. პასუხები დაწერე რვეულში.

სირაქლემა

სირაქლემა ძირითადად აფრიკაშია გავრცელებული. მას ფრენა არ შეუძლია.

ის უმეტესად ფოთლებით, თესლით, ბალახებით და ხილით იკვებება. ჭამს მწერებსა და პატარა მღრღნელებსაც. სასმელის გარეშე რამდენიმე დღე შეუძლია გაძლოს, თუმცა წყალი უყვარს და ხშირად ბანაობს, თუ ამის შესაძლებლობა მიეცემა.

ამბობენ, რომ შეშინებული სირაქლემა თავს ქვიშაში რგავს, მაგრამ ეს მოსაზრება მცდარია.

შესანიშნავი მხედველობისა და სმენის მეშვეობით სირაქლემა მტაცებლებს შორ მანძილზევე ამჩნევს.

დასამალად მიწაზე განერთხმება, კისერსა და თავს ძირს დებს. ამის გამო შორიდან გორაკს ემსგავსება და ძნელად შესამჩნევი ხდება. დამფრთხალი ფრინველი გარბის. დადევნებისას შეუძლია 70 კმ-სთ სიჩქარე განავითაროს. იმ შემთხვევაში, თუ გასაქცევი არ აქვს, თავისი ძლიერი ფეხებით შეტევაზე გადადის. მას ადვილად შეუძლია სასიკვდილო ჭრილობა მიაყენოს ნებისმიერ მტაცებელს. სირაქლემა ყველაზე დიდ კვერცხს დებს, რომელიც 1,4 კილოგრამს იწონის.

ხმელეთის ცხოველებს შორის ყველაზე დიდი თვალები სირაქლემას აქვს. მათი დიამეტრი 5 სმ-ს აღწევს.

სირაქლემას და კენგურუს არ შეუძლიათ უკან სიარული.

1. თუ იცი, რა შემთხვევაში იყენებენ გამოთქმას: „სირაქლემას პოზაში ყოფნა“?
2. სხვა ფრინველებისგან განსხვავებით რა არ შეუძლია სირაქლემას?
3. როგორ იცავს თავს მტაცებლისაგან ეს ფრინველი?
4. რით ჰგავს ის კენგურუს?
5. თუ იცი, სირაქლემას გარდა კიდევ რომელი ცხოველები ან ფრინველები ბინადრობენ აფრიკაში?

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს. პასუხები დაწერე რვეულში.

ქაღალდის შექმნის ისტორია

ძველ ეგვიპტესა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში წერდნენ პაპირუსზე. მას ამზადებდნენ ამავე სახელწოდების მცენარის ფოთლებისა და ღეროების ნაწილებისგან. წერდნენ ლერწმისგან დამზადებული წვეტიანი ჯოხებით. მელნის დანიშნულებას ასრულებდა მური.

ქაღალდის უძველესი ნიმუშები აღმოჩენილია ჩინეთში. ევროპელებმა ქაღალდის დამზადება არაბებისგან ისწავლეს, რომლებიც ჩინელების მსგავს ტექნოლოგიას იყენებდნენ. თავდაპირველად ქაღალდი მზადდებოდა ხისა და ქსოვილის (ჩვრის) წვრილად დაფქული, დასველებული მასისგან. მას აბრტყელებდნენ ქაღალდის სისქემდე და ახმობდნენ.

ქაღალდის ფურცელზე ჩინელები წერდნენ წვრილი ფუნჯით, რომელსაც ამზადებდნენ აქლემის ან ვირთხის ბეწვისგან. მოგვიანებით სხვადასხვა ქვეყანაში წერისათვის იყენებდნენ ფრინველის (ბატის, გედის, ინდაურის) ფრთისგან დამზადებულ კალამს, მაგრამ მას სწრაფად უფუჭდებოდა წვერი და სპეციალური ხელსაწყოთი თლიდნენ. ამიტომ იგი შეცვალა ფოლადისგან დამზადებულმა კალამმა, რომელიც მაგრდებოდა ხის ან სხვა მასალის ღეროზე.

1. ვისგან ისწავლეს ევროპელებმა ქაღალდის დამზადება?
2. რატომ გახდა საჭირო ფოლადის კალმის გამოგონება?
3. რა არის პაპირუსი?
4. რა არის ამ ტექსტის მიზანი, რა გაგაგებინათ ტექსტმა?

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს. პასუხები დაწერე რვეულში.

მუშტაიდის ბაღი

თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მუშტაიდის ბაღს. პარკი XIX საუკუნის 30-იან წლებში დაარსდა. მისი დამაარსებლის სახელი – მუშტაიდი, სამუდამოდ შერჩა. სპარსეთის ერთ-ერთ თვალსაჩინო რელიგიურ მოღვაწეს, აღა-მირ-ფატაჰის, სასულიერო წოდებით – მუჯთაჰიდი, რუსეთის მთავრობამ მიწა უბოძა თბილისში, დიდუბეში. მან აქ შესანიშნავი ბაღი გააშენა. მას მტკვრიდან გვირაბი და სარწყავი არხიც გამოუყვანია. სხვათა შორის, ეს გვირაბი ახლაც არის. აღა-მირს ცოლად ჰყავდა ულამაზესი ქართველი ქალი, ნინო, რომელიც მან სტამბულის ტყვეთა ბაზარზე იყიდა. ირანიდან გახიზნულმა, სწორედ მისი თხოვნით აირჩია საცხოვრებლად თბილისი. ქალს თბილისში მშობლები ცოცხლები აღარ დახვედრიან, დარდისგან ავად გამხდარა და ექვს თვეში გარდაცვლილა. საყვარელი მეუღლე აღა-მირმა სახლის წინ დაკრძალა და საფლავზე უამრავი წითელი ვარდი დარგო. საღამოობით იგი დიდხანს იჯდა საფლავთან და გლოვობდა საყვარელ ცოლს. იგი საფლავის ირგვლივ რგავდა დიდი რაოდენობით ვარდებს, ყვავილებს, ბუჩქებსა და ხე-მცენარეებს, ასე დაწყებულა ამ ბაღის გაშენება. 1845 წელს ის დაბრუნდა თავრიზში, ეს ადგილი კი ერთ ვაჭარს მიჰყიდა. ამის შემდეგ ბაღმა რამდენჯერმე გამოიცვალა პატრონი და ბოლოს სასეირნო პარკად იქცა.

1935 წელს მუშტაიდის ბაღში გაიხსნა მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა სამი სადგურით. ერთ-ნახევარი კილომეტრი სიგრძის რკინიგზაზე ორთქლმავალს ოთხი ვაგონი დაჰყავდა, თითოეულ ვაგონში 50 ბავშვი ეტეოდა.

1. თბილისის რომელ უბანში მდებარეობს მუშტაიდის ბაღი?
2. ვის სახელს უკავშირდება მისი დაარსება?
3. მსოფლიო მნიშვნელობის რა ფაქტი უკავშირდება მუშტაიდის ბაღს?
4. რატომ აირჩია საცხოვრებლად აღა-მირმა თბილისი?
5. წარმოიდგინე, რომ შენ ხარ მუშტაიდის ბაღის დირექტორი. რას გააკეთებდი, რომ რაც შეიძლება ბევრი სტუმარი მიგეზიდა ბაღში?

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს. პასუხები დაწერე რვეულში.

ქართული სტამბის დაარსება

პირველი ქართული წიგნი დაიბეჭდებოდა, თორმეტმა საუკუნემ განვლო. ეს ქართულ-იტალიური ლექსიკონი იყო. ის 1629 წელს ნიკიფორე ირბახის (იგივე ჩოლოყაშვილი) ხელშეწყობით წიგნის ბეჭდვის გამოგონებიდან 189 წლის შემდეგ რომში დაიბეჭდა. 1705 წელს არჩილ II-მ და მისმა შვილმა ალექსანდრემ მოსკოვში დაბეჭდეს „დავითნი“.

საქართველოში პირველი ქართული სტამბა ვახტანგ VI-მ დააარსა 1705-1709 წლებში თბილისში. პირველი წიგნი, რომელიც დაიბეჭდა, იყო „სახარება“. 1709-1712 წლებში დაიბეჭდა 11 დასახელების წიგნი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა, ვახტანგ VI-ის რედაქციითა და კომენტარებით (1712 წ.). 1713 წლიდან 1720 წლის მიწურულამდე სტამბაში დაიბეჭდა მხოლოდ 5 წიგნი. ამ პერიოდში წიგნების გამოცემა შემცირდა ვახტანგ VI-ის ქირმანში გადასახლების გამო.

1721-1722 წლებიდან კვლავ დაიწყო სტამბაში წიგნების ბეჭდვა-გამოცემა. სულ დაიბეჭდა 19 დასახელების წიგნი.

1. ვის სახელს უკავშირდება საქართველში სტამბის დაარსება?
2. რომელი წიგნი დაიბეჭდა პირველად ვახტანგ მეფის მიერ დაარსებულ სტამბაში?
3. ამოიწერე იმ ორი წიგნის დასახელება, რომლებიც უცხოეთში დაიბეჭდა.
4. რომელ წელს დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“?

დავუშვათ, გსურს სასკოლო საშობაო ღონისძიების მოწყობა და ქალაქის სხვა მოსწავლეების ჩართვა. დაწერე განცხადება, რომელსაც გაზეთში გამოაქვეყნებ.